საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030149267015018

№ 01-1308/ო **21 / ნოემბერი / 2018 წ.**

საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 11 მაისის №01-23/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ზაზა ბოხუა** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) **მაია ლაგვილავა** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გ) **მარინა დარახველიძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

დ) **ნათია ნოღაიდელი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ე) **პაატა ბუკია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ვ) **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

ზ) **თამაზ ბახტაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

თ) **ნინო ბერელიძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ი) **ქეთევან გარსევანიშვილი** - საქართველოს ექთნების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

კ) **კახა ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა დეპარტამენტის პროფესორი (საბჭოს წევრი);

ლ) **მაია გოგაშვილი** - საქართველოს უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საექთნო საქმის ექსპერტი (საბჭოს წევრი);

მ) **მაია ჩიხლაძე** - საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ - ერთ-ერთი დამფუძნებელი, დირექტორის მოადგილე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

ნ) **მაია ჯაში** - საქართველოს ექთნების ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი, კორპორაცია „პარტნიორობა საერთაშორისო განვითარებისათვის“ - საექთნო პროგრამების კოორდინატორი, ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს საექთნო საქმის მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ო) **მედეა ჯღარკავა** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების კოორდინატორი (საბჭოს წევრი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს **„საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 20 დეკემბრის №01-266/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო